

წმ. ნინოს კულტის სახეცვლილება ქართული შუა საუკუნეების
რელიგიური მეხსიერების ფორმირების პროცესში

დავით ოქროპირიძე

შუა საუკუნეების კვლევები

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამაზ კოჭლამაზაშვილი, ემერიტუსი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ბატონ გიორგი გვალის
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრანტის
დავით ოქროპირიძის

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებშიც ნაშრომი არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით ოქროპირიძე 2021

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი „წმ. ნინოს კულტის სახეცვლილება ქართული შუა საუკუნეების რელიგიური მეხსიერების ფორმირების პროცესში“ მოიცავს ქრისტიანობის გავრცელების და განვითარების გარშემო არსებული შუა საუკუნეობრივი ტექსტების შესწავლას და მათი შინაარსობლივი სახეცვლილების მიზეზებს. ტექსტში ნაჩვენებია ასევე კულტურული პროცესების გავლენა წმ. ნინოს კულტის ფორმირებაზე, რომელიც უკავშირდება შუა საუკუნეებში განვითარებულ მოვლენებს, რომელიც აფორმირებს ერთის მხრივ ქრისტიანობის გავრცელების რელიგიურ მეხსიერებას, ხოლო მეორეს მხრივ აყალიბებს წმ. ნინოს კულტის შესახებ სწავლებას.

წინამდებარე კვლევაში ასახულია ყველა ის შუა საუკუნეობრივი ტექსტი, რომელიც უკავშირდება წმ. ნინოს კულტთან დაკავშირებულ სწავლებას, ასევე მასთან ასოცირებულ ტექსტებს, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ სწავლებებს, ასევე მათთან დაკავშირებულ უცხოენოვანი ტექსტები, რა სახის გავლენას ახდენენ შუა საუკუნეების პერიოდში ქართულენოვანი ტექსტების განვითარებაზე, რომელიც წმ. ნინოს კულტის ფორმირებას უკავშირდება.